საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

N 4/01-15

12/01/2023

ქალბატონ ლიზი ბუკიას

ასლი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსის
მ/შ ბატონ რამაზ მამულაძეს

ქალბატონო ლიზი,

თქვენი წერილის პასუხად (19/142301118-14, 11.01.2023 წ.) გიგზავნით აჭარის ა.რ-ის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში არსებულ ინფორმაციას, კერძოდ, აჭარაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას. გაცნობებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ვიზიტების ჯამური რაოდენობა 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 2’442’583 ვიზიტს, ხოლო 2022 წელს მიმდინარე პერიოდისთვის დაფიქსირდა 2’578’206 ვიზიტი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2022 წლის მონაცემი არის დამუშავების პროცესში და არ არის სრული.

1. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების სტატისტიკას აჭარის ა.რ. ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული სტატისტიკა მოიცავს მხოლოდ აჭარის ა.რ. ადმინისტრაციული საზღვრების კვეთის მონაცემებს (სგპ სარფი, ბათუმის აეროპორტი და ბათუმის პორტი) და არ მოიცავს აჭარაში საქართველოს სხვა საზღვრებიდან განხორციელებულ ვიზიტებს (ინფორმაციის წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი).

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა:

- 2021 წელს - 479’338 ვიზიტი;
- 2022 წლის 11 თვე (იანვარ-ნოემბერი) - 1’121’292 ვიზიტი.

2. ადგილობრივი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა (ინფორმაციის წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). აღნიშნული მონაცემი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან აჭარაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას, კერძოდ:

- 2021 წელი - 1’963’245 ვიზიტი;
- 2022 წლის 9 თვე (იანვარ-სექტემბერი) - 1’456’914 ვიზიტი.

პატივისცემით,

თინათინ ზოიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.. №84/86
ს.კ. 245427809
ტელ: (0422)274702, 274749
Email info@gobatumi.com

4-01-15-2-202301121520
https://edocument.ge/AdjaraGov/public